ინფორმაცია <u>ადვოკატებისთვის</u>

ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ 1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგას კონვენციით (შემდეგში - *ჰააგას კონვენცია*) გათვალისწინებული გატაცებული ბავშვის უკან დაბრუნების საქმეებში

გატაცებული ბავშვის უკან დაბრუნების საერთაშორისო პროცესები, მოგეხსენებათ, შეზღუდულია დროში (არა უმეტეს **ექვსი კვირისა**) და ასევე თემატურად, როცა ის კონცენტრირებულია მხოლოდ კონვენციით გათვალისწინებული საკითხების განხილვა-გადაწყვეტაზე. ბავშვის არამართლზომიერად გადაადგილებისას ან დაკავებისას ჰააგას კონვენციიდან გამომდინარე საქმეებზე განსჯადი სასამართლო ამოწმებს მხოლოდ იმას, ხომ არ არის სახეზე ბავშვის ინტერესების უჩვეულოდ მძიმე ხელყოფა, რომლებიც ეწინააღმდეგება მისი უკან დაბრუნების გადაწყვეტილებას და რომელთა აღმოფხვრა ან სათანადო ზომამდე შემცირება შეუძლებელია სხვა ღონისძიებების გამოყენებით. ამასთან, სასამართლო განხილვის საგანს **არ** წარმოადგენს ბავშვის აღზრდა-მეურვეობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა-მოწესრიგება, რომელიც ეფუძნება ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე მისთვის ყველაზე ხელსაყრელ და გამართლებულ გამოსავალს.

სასამართლო ჰააგას კონვენციით გათვალისწინებულ კონფლიქტებში დაპირისპირების გარკვევის, მოგვარების ან თუნდაც შემცირების პოტენციალს ხედავს ისეთ სასამართლოსგარეშე პროცესში, როგორიც არის **მედიაცია**.

ასეთ საქმეებზე, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია ორი მედიატორი (რომელთაგან ერთი ქალია და მეორე - მამაკაცი), რომლებიც წარმოადგენენ ორ სხვადასხვა პროფესიას, ერთი იურიდიულს და მეორე - ფსიქო-სოციალურს ან პედაგოგიურს. გარდა ამისა, მედიატორთა წარმომავლობა ემთხვევა საქმეში მონაწილე მშობლების წარმომავლობას, რაც უზრუნველყოფს მედიატორების მიერ მშობლების კულტურული თუ ენობრივი ასპექტებისა და თავისებურებების ცოდნას. ამასთან, მედიატორები ინცობენ და საგანგებოდ მომზადებულები არიან ჰააგას კონვენციით გათვალისწინებული პროცესისთვის (გატაცებული ბავშვის უკან დაბრუნება) დამახასიათებელი სპეციფიკისა და პრობლემატიკისთვის. მათ ამისათვის გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება და აქვთ დიდი გამოცდილება. მედიატორები ასრულებენ შუამავლის შორს მშობლებს შორის. ისინი მშობელთა დიალოგისთვის ქმნიან ხელსაყრელ, კონსტრუქციულ გარემოს და ხელს უწყობენ მათ დაბალანსებულ დიალოგში. ამასთან, ამ პროცესში მედიატორები არ არიან აღჭურვილი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებით. მათი ამოცანაა, დაეხმარონ მონაწილე მხარეებს, გამოავლინონ ერთმანეთისთვის მისაღები პირობები და თავად მივიდნენ პრობლემის გადაჭრის გონივრულ შესაძლებლობებამდე. ჰააგას კონვენციით გათვალისწინებულ საქმეებზე განხორციელებული მედიაციის ფარგლებში (გატაცებული ბავშვის უკან დაბრუნების მიზნით) ბავშვის უკან დაბრუნებასა და მის მუდმივ ადგილსამყოფელთან დაკავშირებული საკითხების გარდა ჩვეულებრივ, წამოიჭრება და აქტუალურია-ხოლმე ბავშვის ორივე მშობელთან და სხვ ადამიანებთან ურთიერთობის საკითხებიც. აღნიშნულის ფარლებში სამსჯელოა ბავშვთან ურთიერთობის კონკრეტულად და დეტალურად მოწესრიგებაზე, მის მოვლა-პატრონობაზე, სასკოლო განათლება-განვითარებაზე, მის ბი-კულტურულ აღზრდაზე, მის ფინანსურ უზრუნველყოფაზე და ა.შ.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მიუხედავად საქმეში მონაწილე მშობლებს შორის გამძაფრებული კონფლიქტის და მაღალი დაძაბულობისა, მხარეები მედიაციის ფარგლებში

მედიატორის დახმარებით მაინც ახერხებენ ბავშვისთვის სასიკეთო შუალედური ან საბოლოო შეთანხმებების მიღწევას. ამით შესაძლებელია გამარჯვებულ-დამარცხებულის მოდელის თავიდან აცილება. სადავო საკითხების სასამართლოს მიერ გადაწყვეტა კი ხშირად კონფლიქტის კიდევ უფრო გამწვავებასაც იწვევს მხარეებს შორის.

მედიაციას არანაირი **გავლენა არ აქვს** მხარის სამართლებრივ პოზიციაზე სასამართლო სამართალწარმოების ფარგლებში. მედიაცია **დახურული** და **კონფიდენციალურია**. მედიაციის შედეგების გამოყენება სასამართლო პროცესში მხოლოდ **ყველა მხარის თანხმობით** არის დასაშვები და შესაძლებელი. უნდა აღინიშნოს, რომ საქმეში მონაწილე მშობლების მზაობა მედიაციის განხორციელებაზე **არ ნიშნავს** უბავშვოდ დარჩენილი მშობლის მიერ ბავშვის ახალ საცხოვრებელზე დათანხმებას გერმანიაში. მედიაციის შემთხვევაშიც და მის დროსაც მხარეს ეძლევა რეკომენდაცია, ისარგებლოს ადვოკატის/თქვენი/ სამართლებრივი დახმარებით.

მედიაციის ხარჯი, მხარეებისა და მედიატორების მგზავრობისა და განთვსების ხარჯების ჩათვლით, ეკისრება მშობლებს. აღნიშნული ხარჯის შესაძლო შემცირება და/ან შემსუბუქებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ ქვემოთ მითითებულ ინსტიტუციებს.

მედიაციის პროცესის ფარგლებში მნიშვნელოვანია საქმეში ჩართული ადვოკატების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ტელეფონის მეშვეობით ან სხვა საშუალებებით, რათა ორივე მშობელს ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია მედიაციის მსვლელობისას.

გატაცებული ბავშვის უკან დაბრუნების საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ ხდება მედიაციის გზით მიღწეული შედეგების დაოქმება და სავალდებულო ფორმით გაწერა მას შემდეგ, რაც მას გადახედავთ თქვენ. გარდა ამისა, შესაძლოა ცალკეულ შემთხვევებში საჭირო გახდეს მედიაციის შედეგების „გადაზღვევა“ მეორე ქვეყნისთვისაც.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში მედიაციასთან დაკავშირებით, გთხოვთ, მოგვმართოთ შემდეგ მისამართებზე:

იუსტიციის ფედერალური სამსახური
ცენტრალური ორგანო ბავშვზე
მეურვეობასთნ დაკავშირებულ
საერთაშორისო კონფლიქტებზე
მესამე რეფერატი
ადენაუერის ალეა **N 99 - 103**
53113 ბონი
ელ-ფოსტა: **int.sorgerecht@bfj.bund.de**
ტელეფონი: **+49 228 99 410 5212**
ტელეფაქსი: **+49 228 99 410 5401**
ვებგვერდი: **www.bundesjustizamt.de**

ან

MiKK e.V. - რეგისტრირებული კავშირი
საერთაშორისო სამედიაციო ცენტრი საოჯახო კონფლიქტებისა და ბავშვთა გატაცების მიმართულებით
ფაზანების ქუჩა 12
10623 ბერლინი
ელ-ფოსტა: info@mikk-ev.de
ტელეფონი: +49 30 74 78 78 79
ტელეფაქსი: +49 30 74 78 78 80
ვებ-გბერდი: www.mikk-ev.de

მითითებულ მისამართებზე შეძლებთ ასევე მედიატორთა მოძიებას, რომლებიც სარგებლობენ განსაკურებული გამოცდილებით ბავშვთა საერთაშორისო გატაცების და დაბრუნების საქმეებზე. მედიატორთა მოძიება ასევე შესაძლებელია საოჯახო სასამართლოს დახმარებითაც.

მოგმართავთ თხოვნით, აცნობოთ სასამართლოს, თანახმაა თუ არა თქვენი კლიენტი მედიაციაზე, ვინაიდან სასურველია, პირველი სამედიაციო სესია/შეხვედრა ჯერ კიდევ სასამართლოს მიერ დანიშნულ სხდომამდე ჩატარდეს.

გთხოვთ, გადაამოწმოთ ზემოთ წარმოდგენილი საკითხები და კრიტერიუმები და მხარეთა მზაობის შემთხვევაში, რაც შეიძლება სწრაფად დაიწყოთ მედიაცია. ვინაიდან, მიუხედავად მიმდინარე მედიაციისა, სასამართლო წარმოება ჰააგას კონვენციიდან გამომდინარე საქმეებზე უნდა დასრულდეს ექვსი კვირის ვადაში, რაც არ გამორიცხავს სასამართლოსა და მედიაციის პროცესების შეთანხმებულ თანაარსებობას აღნიშნულ მონაკვეთში სასამართლოს მიერ შეხვედრების თარიღების გათვალისწინება-მორგების ჩათვლით.

პირველი ინსტანციის სასამართლო - საოჯახო სასამართლო -